სსიპ ქალაქ თბილისის 11 საჯარო სკოლის დირექტორს

ქალბატონ ნინო ჯაბანიშვილს ამავე სკოლის

ბიოლოგიის მასწავლებლის ინგა ყრუაშვილის პირველი სემესტრის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ეროვნული სასწავლო გეგმით პირველი სემესრტრისათვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამა დაძლეულია მეშვიდე, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე კლასებში.

სემესტრის დასაწყისში შევიმუშავე თემატური გეგმა,სადაც გაწერილია ეროვნული გეგმით გათვალისწინებული საწავლო პროგრამა, ასევე კათედრაზე შემუშავებული იქნა შეფასებს სქემები და დავსახეთ სემესტრის სამუშაო გეგმა.

მე-7-ბ კლასმა კლასში ეროვნული გეგმით გათვალისწინებული პროგრამა ბიოლოგიაში მოსწავლეების უმეტესობამ კარგად აითვისა.მათ შეუძლიათ უჯრედების შემადგენელი ორგანული და არაორგანული ნივთიერებების დახასიათება, ცხოველური და მცენარეული უჯრედების დახასიათება, ბაქტერიებისა და ვირუსების როლის განსაზღვრა ბუნებაში.

კლასი აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესში, კლასის უმრავლესობა დაინტერესებულია და ცდილობს მაქსიმუმი გამოავლინოს, თუმცა აქაც გვყავს მცირე ნაწილი, რომლებთანაც ვახორციელებ შესაბამის ზომებს, რათა არ მივიდნენ საშემოდგომო გამოცდამდე. მაგ. პალიანი დავითი და საბა ჯარიაშვილი.

მე-9-ა კლასში ეროვნული გეგმით გათვალისწინებული პროგრამა ბიოლოგიაში მოსწავლეების უმეტესობამ კარგად აითვისა.მათ შეუძლიათ უჯრედების შემადგენელი ორგანული და არაორგანული ნივთიერებების დახასიათება, ახასიათებენ ორგანიზმის სასიცოცხლო თვისებებს და მათ როლსა და დანიშნულებას, ასევე უჯრედის გაყოფის ფორმებს: მიტოზსა და მეიოზს. ფლობენ მენდელის მემკვიდრეობით კანონზომიერებებს, ასრულებენ გენეტიკურ ამოცანებს.

9-ა კლასი აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესში, კლასის უმრავლესობა დაინტერესებულია და ცდილობს მაქსიმუმი გამოავლინოს, თუმცა აქაც გვყავს მცირე ნაწილი, რომლებთანაც ვახორციელებ შესაბამის ზომებს, რათა არ მივიდნენ საშემოდგომო გამოცდამდე.

9-ბ კლასი ცდილობს აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში, კლასის ნაწილი დაინტერესებულია და ცდილობს მაქსიმუმი გამოავლინოს, თუმცა აქაც გვყავს მცირე ნაწილი, რომლებთანაც ვახორციელებ შესაბამის ზომებს, რათა არ მივიდნენ საშემოდგომო გამოცდამდე.

9-დ კლასი არასისტემატიურია, კლასში არის ბევრი სუსტი მოსწავლე, რომლებიც სასწავლო პროცესში არ ერთვებიან სათანადოდ, მიუხედავად მრავალჯერ მიღებული ზომებისა, რაც აისახა კიდეც მათ სემესტრულ შეფასებაში .

კლასებში კარგად აითვისეს სასწვლო პროგრამა შემდეგმა მოსწავლეებმა: რაზმაძე ნია, ნონიკაშვილი ელენე, ტალახაძე ელენე, ტეტელაშვილი დემეტრე, ცხადაია მარიამი.მათ აქვთ მონაცემთა აღქმისა და ანალიზის საუკეთესო უნარი.კლასებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია "მიტოზი და მეიოზი" .სადაც ბავშვებმა საკუთარი ხელებით გამოძერწეს შესაბამისი ფაზები და აღწერეს.

ამავე კლასებში გამოიკვეთა სუსტი მოსწავლეებიც: ელბაქიძე საბა, ელბაქიძე ნიკოლოზი,დემეტრე, ტურძილაძე რეზი, ქურციკიძე ნიკა, კოტიშაძე გიორგი, ვარდუაშვილი

ლიზი, ლალებაშვილი ნუცა, ცირეკიძე მარი, ქაცარავა მარიამი და სხვა. მათ ნამდვილად არ უჭირთ ინფორმაციის აღქმა, მაგრამ არასისტემატიური მუშაობა ხელს უშლით მასალის სრულყოფილ ცოდნაში.

მეათე კლასმა კარგად აითვისა ეროვნული გეგმით გათვალისწინებული პროგრამა : ფოტოსინთეზი და ნივთიერებათა ტრანსპორტი მცენარეებში. ფოტოსინთეზი და კვება, ფოტოსინთეზის ინტენსივობა, ფოთოლი და ფოტოსინთეზი, ფოტოსინთეზი და გარემო, მცენარე და მინერალები, ფესვების მიერ წყლის და მინერალების შეწოვა, სატრანსპორტო სისტემა მცენარეებში, წყლის მოძრაობა მცენარეში, ტრანსპირაცია. ასევე კარგად აითვისეს სუნთქვა. ორგანიზმის ენერგეტიკული მასალა, ნახშირწყლების სხვადასხვა ტიპები, აერობული და ანაერობული პროცესები, ატფ.

კლასმა გააკეთა პრეზენტაცია თემებზე ,,მცენარეული და ცხოველური უჯრედები “ და ,,ფოტოსინთეზი “.

მეათე კლასებში(10-ა და 10-დ) კარგად აითვისეს ეროვნული გეგმით გათვალისწინებული პროგრამა შემდეგმა მოსწავლეებმა: ღილუაშვილი მარიამი, მარგალიტაძე მარიამი, გელაშვილი ანანო, შალამბერიძე ნათია, რაჭველიშვილი ანი. მათ აქვთ მონაცემთა აღქმისა და ანალიზის საუკეთესო უნარი.

კლასებში არის სუსტი მოსწავლეები, თუმცა ყველაზე ყურადღებამისაქცევია სიხარულიძე ოთარი, ოქროჭელიძე გიორგი, გურული გიორგი, უნდილაშვილი ნიკოლოზი, რომელთა სასწავლო პროცესისადმი გულგრილობამ შესაძლოა წლის ბოლოს ძალიან ცუდი შედეგები მოგვცეს.

მეთერთმეტე კლასებში (11-ბ და 11-ა) ეროვნული სასწავლო გეგმით პირველი სემესტრისათვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამა დაძლეულია. კლასმა კარგად აითვისა ორგანიზმთა გამრავლება და ინდივიდური განვითარება. ორგანიზმთა გამრავლების მნიშვნელობა, მიტოზი, უსქესო გამრავლება, სქესობრივი გამრავლება, სასქესო უჯრედების ჩამოყალიბება (გამეტოგენეზი), მეიოზი, მატრიცული სინთეზის რეაქციები, დნმ-ის კოდი, გენი, როგორც მემკვიდრეობის ერთეული, განაყოფიერება ცხოველებში, განაყოფიერება ყვავილოვან მცენარეებში, ორგანიზმთა ინდივიდური განვითარება (განვითარების ემბრიონული პერიოდი; განვითარების პოსტემბრიონული პერიოდი).გენეტიკის საფუძვლები, მონოჰიბრიდული და დიჰიბრიდული შეჯვარება, სქესის გენეტიკა.

მეთერთმეტე კლასში კარგად აითვისა ეროვნული გეგმით გათვალისწინებული პროგრამა შემდეგმა მოსწავლეებმა: ურუმაშვილი მარიამი, დეა ციცქიშვილი, თეა დედანაშვილი, ნატა ჩიხელიძე, ანა ბერუაშვილი.მათ აქვთ მონაცემთა აღქმისა და ანალიზის საუკეთესო უნარი.

ზემოთ აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით მოსწავლეთა უმრავლესობას აქვს კარგი შეფასება, თუმცა უნდა აღინიშნოს მოსწავლეთა ნაწილის არასისტემატიური მუშაობა, რაც აისახება კიდეც მათ შემაჯამებელ სამუშაოებში და მიმდინარე შეფასებაშიც. კონკრეტულად კი უნდა ავღნიშნო 11-ა კლასის არასასერიოზული განწყობა საწავლო პროცესისადმი, სწავლისა და დისციპლინის ვალდებულებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. თუმცა კლასის მცირე ნაწილი ცდილობს ჩემი დახმარებით მასალის ათვისებასა და გათავისებას, მაგრამ უმრავლესობას აქვს დაბალი მოსწრება, მაშინ როდესაც მათი შესაძლებლობები არანაკლებია და შესაძლებელია მაღალი შედეგების დადება, ამ კუთხით ყველანაირად ვცდილობ მათთან მეტი შედეგების დასადებათ მუშაობის გაგრძელებას.

თუმცა ყველაზე ყურადღებამისაქცევია როგორც ყოფაქცევით ასევე მოსწრებით კიკნაძე ვასილი, სარჩიმელია ნიკა, გაბელაია გიორგი, ოთინაშვილი ნიკა. ბოლო თვეს

რადიკალურად შეიცვალნენ, დადებითი თვისებები გამოამჟღავნეს , თუმცა ეს არ გვაძლევს მოღუნების უფლებას და ამ კუთხით კიდევ მეტი შრომაა საჭირო.

სემესტრის განმავლობაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში დასახული გეგმის შესაბამისად ვმუშაობდი საკუთარი თავის პროფესიული ზრდისა და განვითარებისათვის. ასევე ოქტომბრის თვეში ჩავაბარე სასერთიფიკაციო და გამოცდა და მოვიპოვე უფროსი მასწავლებლის სტატუსი ქიმიაშიც, რაც ნამდვილად წაადგება ჩემს პროფესიულ ზრდასა- განვითარებას, კონკრეტულად კი საგანთაშორისი კავშირების საკითხებში მოსწავლეთა გათვითცნობიერებას, უფრო ღრმა წვდომასა და მათ განვითარებას ამ კუთხით..

2019-2020 სასწავლო წელი.